პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
კვირა, 30 მარტი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 5 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 463 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე.

სამხკორების საყურადღებოთ.

ორშაბათს, 31 მარტს, საღამოს 6 ს. ქართულ მსროლელ დივიზიის შტაბის შენობაში დანიშნულია თბილისის გარნიზონში მდგომ ქართულ დივიზიის ნაწილების პასუხისმგებელ სამხკორების თათბირი. წინადადება ეძლევა ყველა პასუხისმგებელ სამხკორებს დაესწრონ თათბირს უკლებლივ და დანიშნულ დროზე.

გაზ. „წითელ-არმიელის“ რედაქცია.

პუანკარეს კომედია.

ამ ახლო ხანში საფრანგეთში მოხდება საპარლამენტო არჩევნები. ყველა პოლიტიკური პარტიები დიდის გაფაციცებით ემზადებიან ამ არჩევნებისათვის. ემზადება, რასაკვირველია, თვით მმართველი პარტიაც. პუანკარეს უკვე შეუდგა ციებ ცხელება არჩევნების მოახლოვების გამო.

მისი შტაცებლური, იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელსაც ის ატარებდა დღიდან თავისი პრემიერობის დამთავრდა სრული მარცხით.

რურის ოკუპაციით ისარგებლეს მხოლოდ საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის მაგნატებმა და მევახშე ფინანსიური კაპიტალის ონავარებმა, ხოლო საშინელ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდენ ფართო მშრომელთა მასები.

რურის ოკუპაციამ მათ მოუტანა აუარებელი გადასახადები და ფრანკის დაცემით სამუშაო ქირის დაცემა.

პუანკარეს იმპერიალისტური პოლიტიკა აუცილებელ კატასტროფისკენ მიაქანებს საფრანგეთს. არსებულ ხელისუფლების წინაალმდეგ უკმაყოფილება და უნდობლობა დღითი დღე იზრდება არა მარტო მშრომელთა მასებში, არამედ თვით პუანკარეს ერთგულ პარლამენტშიაც. ამას ამტკიცებს უკანასკნელი დებატები პარლამენტში ინვალიდების პენსიათა შემცირების შესახებ.

პუანკარეს მთავრობა სცდილობს ფინანსიური კრიზისის სიმძიმე გადაიტანოს მშრომელთა კისერზე. ფრანკის სტაბილიზაცია მას სურს მოახდინოს ახალი გადასახადების შემოღებით და ისეთი ზომების მიღებითაც როგორც არის ომში დასახიჩრებულთა პენსიების შემცირება. აი რა გზას ადგია დღეს საფრანგეთის პირსისხლიანა ბურჟუაზია.

ეს გზა უფრო ნათელყოფს მის საბოლოო გაკოტრებას.

როგორც ვიცით პარლამენტში ამ საკითხმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია, რასაც მოყვა მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების საკითხის დასმა. საზოგადოთ პუანკარე დიდი ხრიკების ადამიანია. როგორც კი მის წინაალმდეგ პარლამენტში დაიძრება კრიტი, ის იმ წამსვე სვამს ნდობის საკითხს და გადადგომის კომედიას მართავს.

ასეთივე ხრიკს მიმართა ახლაც. პროლეტარიატის უმრავლესობა წინაალმდეგ წავიდა პენსიების შემცირების პროექტზე. მყისვე დაისვა ნდობის საკითხი. ხმის უმრავლესობით უნდობლობა გამოეცხადა მთავრობას. ჩვეულებისამებრ პუანკარემ „კატეგორიულად“ მოითხოვა მილიერანისაგან გადადგომა, მაგრამ „დიდი ყოყმანის“ შემდეგ პუანკარე კვლავ დარჩა თავის ადგილზე და შეაყენა ახალი კაბინეტი, მიუხედავათ იმისა რომ პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა. რაშია საქმე? რატომ მართლა არ გადადგა პუანკარე?

საქმე ისევ მომავალ არჩევნებშია. როგორც თვით პარლამენტი ისე პუანკარე ქმნის უთანხმოების კომედიას. მათ სურთ არჩევნების წინ მოაჩვენონ ხალხს თავი თითქოს ისინი დიდ მზრუნველობას იჩენენ ხალხზე ისეთ წვრილმანებშიც, როგორც პენსიების საკითხია. მაგრამ არავითარი ხრიკები და კომედიები მათ არ გაუვათ.

პუანკარესა და მის დამქაშების, რომლებიც შეადგენენ პარლამენტის აბსოლიუტიურ უმრავლესობას, მარცხი მომავალ არჩევნებზე აუცილებელია.

ბრძოლა ოსმალეთის ეროვნულ კრებაში.

სარწმუნოებრივი რეფორმა, რომელიც ამ უკანასკნელად ცხოვრებაში გაატარა ოსმალეთის მთავრობამ, მწვავე პოლიტიკურ შედეგებს იღებს. როგორც ვიცით სულთანის ჩამოგდებით და ხალიფატის გაუქმებით ბრძოლა ახალ ოსმალეთსა და ძველს შორის არ დამთავრებულა.

ოსმალეთში ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან სულთანის და ხალიფის მომხრეები, უკიდურესი რეაქციონერები რომლებიც სულით და გულით ებრძვიან ქემალისტებს—განახლებული ოსმალეთის წარმომადგენლებს.

ამიტომ სრულიად ბუნებრივ მოვლენათ უნდა ჩავთვალოთ ის გაცხარებული ბრძოლა, რომელსაც ადგილი აქვს ამ ჟამად ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაში.

ოსმალეთის რეაქციონერები, რომლებმაც არსებულ საარჩევნო სისტემის წყალობით მეტად ბევრი სადეპუტატო ადგილები დაიკავეს დიდ ეროვნულ კრებაში აწარმოებენ ენერგიულ ბრძოლას ქემალისა და მის მომხრეების წინაალმდეგ.

როდესაც ქემალისტების მეთაურობით ტარდებოდა ცხოვრებაში სარწმუნოებრივი რეფორმა, მათ ვერ გაბედეს აშკარად გამოსვლა ქემალის წინააღმდეგ, რადგან ეს ნიშნავდა ოსმალეთის ხალხთან ბრძოლას.

რეაქციონერები უცდიდენ მოხერხებულ დროს, ხელსაყრელ პირობებს, როდესაც შეიძლებოდა ქემალის წინაალმდეგ გალაშქრება და იერიშის მიტანა.

ასეთი მომენტიც დადგა.

საქმე იმაშია, რომ ქემალმა სავსებით შეიგნო ის გარემოება, რომ არსებული დიდი ეროვნული კრების დეპუტატთა უმრავლესობა მოლები და მსხვილი ფეოდალები აშკარა რეაქციონერებია, რომლებიც მუდმივი საფრთხე და დაბრკოლება იქნებიან ახალი, განახლების გზაზე დამდგარი ოსმალეთისათვის.

ამიტომ ოსმალეთის კონსტიტუციაში ქემალის მიერ შეტანილი იქმნა პუნქტი, რომ ოსმალეთის პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს დიდი ეროვნული კრება და დანიშნოს ახალი არჩევნები.

აი სწორედ ამ მუხლმა გამოიწვია ის გაცხარებული ბრძოლა რეაქციონერებს და ქემალისტებს შორის, რომელსაც დღეს აქვს ადგილი დიდ ეროვნულ კრებაში. რეაქციონერებმა სასტიკად გაილაშქრეს ამ მუხლის წინაალმდეგ და თავისი თავი რევოლიუციონერებადაც კი მოაჩვენეს ხალხს.

მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს ის, რომ ეს მუხლი მეტის მეტად სახიფათოა და მომავლისათვის საშიშროებას წარმოადგენს. მართალია დღეს ქემალი არის პრეზიდენტი და მას, როგორც ისეთ პიროვნებას, რომელსაც სურს კარგი ოსმალეთის ხალხისათვის, გამოადგება ეს მუხლი რეაქციის წინაალმდეგ, მაგრამ სად არის ამის გარანტია, რომ ხვალ ან ზეგ იმავე ცენზიან არჩევნების სისტემით (რომელიც ამ ჟამად არსებობს ოსმალეთში) ისე, როგორც ეს მოხდა დიდ ეროვნულ კრებაში, ოსმალეთის საპრეზიდენტო თანამდებობაზე არ წამოსკუპდება იგივე ხალიფისა და სულთანის მომხრე, დესპოტი რეაქციონერი, რომელიც ბოროტად არ გამოიყენებს ამ უფლებას ოსმალეთის ხალხის დასაჩაგრავად და დასამონავებლად. ჯერჯერობით ეს მუხლი უარყოფილია დიდი ეროვნული კრების მიერ.

მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდება, რომელიც უნდა დამთავრდეს ან ქემალის ან რეაქციონერების გამარჯვებით. სხვა მხრივ შეუძლებელია, რადგან ამ დებატებმა სავსებით ნათელყო ის ფაქტი, რომ ამიერიდან ყოვლად შეუძლებელია რაიმე ნაყოფიერი მუშაობა ქემალსა და დიდ ეროვნულ კრების რეაქციონერ უმრავლესობასთან. ჩვენ არ ვიცით რამდენხანს გასტანს ეს ბრძოლა, მაგრამ ერთი კი ნათელი და ცხადია, რომ საბოლოოდ გამარჯვება დარჩება ქემალს, რადგან მის მხარეზეა მთელი ოსმალეთის ხალხის სიმპატია. რეაქციონერები თავის ბრძოლას დიდი ეროვნული კრების იქით ვერ გადიტანებენ და რასაკვირველია დამარცხდებიან.

მაგრამ მარტო დიდი ეროვნული კრების დათხოვნა როდი ნიშნავს სრულ გამარჯვებას. რომ შემდეგში არ განმეორდეს ასეთი ექსპერიმენტები ოსმალეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, რომ საბოლოოდ დამარცხდეს რეაქცია, საჭიროა საფუძვლიანად შეცვლილი იქნას საარჩევნო სისტემა, რომ ახალი დიდი ეროვნული კრების შემადგენლობაში შევიდენ ოსმალეთის ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები, რომლებიც ბოლომდი დაიცავენ თავის მონაპოვართ, წინაალმდეგ შემთხვევაში ე. ი. ძველი ცენზიან საარჩევნო სისტემის ძალაში დატოვებით, მეჯლისში კვლავ თავს მოიკალათებენ ხალხის მტრები რეაქციონერები, რომლებიც კარგ დღეებს არ უქადიან ახალ ოსმალეთს.

ე.

რადიო-დეპეშები

— 27 მარტს ავსტრიის ლანდტაგის შენობაში გაიხსნა რუსეთ—რუმინეთის კონფერენცია.

— ვენგრიის ფაბრიკანტების კავშირი მოითხოვს მთავრობისაგან ეკონომიური კავშირის აღდგენას საბჭოთა კავშირთან.

- საფრანგეთის ჯარებმა ოსმალეთ სირიის საზღვარზე დაუშინეს ზარბაზნები აჯანყებულ სოფლებს. აჯანყებულებმა მოკლეს 8 და დასჭრეს 80 ფრანგი.

— სილეზიაში იზრდება ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღის გარშემო.

— დნესტრის მხარეში მოხდა გადმოხვეწილ ბესარაბიელთა მრავალ რიცხოვანი დემონსტრაცია- ბესარაბიის ადგილობრივი გლეხობა შეუერთდა დემონსტრანტებს, მაგრამ მალე ისინი განდევნა პოლიციამ.

საბჭოთა კავშირი.

პრესის მიმოხილვა.

ხუთი წელი სადარაჯოზე.

დღეს შესრულდა 5 წელი, რაც ამხ. კალინინი იმყოფება ცაკის თავმჯდომარის ადგილზე. ამის შესახებ „პრავდა“ სწერს შემდეგს: „მიხეილ ივანეს-ძე კალინინს, ძვირფას პარტიულ ამხანაგს, დამსახურებულ ზეინკალს, ძველ ტვერელ მიწის მუშას, რომელსაც უკავია დიდი ადგილი დიდი საბჭოთა ქვეყნის მუშურ-გლეხურ მთავრობაში—მისი სრულიად რუსეთის „სტაროსტად“ არჩევის ხუთი წლის თავზე—მხურვალე სალამი.

აპრილის დემობილიზაციის შესახებ.

აპრილის დემობილიზაციასთან დაკავშირებით, ამხ. სტეკლოვი

„იზვესტიაში“ მოთავსებულ წერილში აღნიშნავს, რომ წითელმა ყაზარმამ მიიღო სოფლიდან ნედლი მასალა და უკან აბრუნებს მას გადამუშავებულს. სოფელი ბევრს მოიგებს წითელ არმიელთა დაბრუნებით, ვინაიდან ესენი არიან ის პირები, რომელთაც შეუძლიათ აიყვანონ სოფლები უმაღლეს საფეხურამდი.

უპირველეს ყოვლისა ესენი იქნებიან სოფლებში საბჭოთა იდეების გამტარებელნი. გლეხური ინტელიგენციის მთელი მასა, აღზრდილი წითელ ყაზარმებში, შესძლებს დაიკავონ ადგილები სოფლის საბჭოებში და საოლქო აღმასკომებში.

ინგლის-რუსეთის კონფერენციის გარშემო.

ლორდ კერზონის ცარიელი ყუმბარები

ლორდთა პალატაში ლორდ ემეტმა (ყოფილი თავმჯდომარე მთავრობის კომისიისა საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის გამორკვევის საქმეში) განაცხადა, რომ „კეთილსასურველი ჟესტი“ ინგლისისა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ მიღებულ იქნა შეურაცხმყოფელ ირონიით ზინოვიევის მიერ, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწეს. „უკიდურეს მემარცხენეებმა საბჭოთა კავშირში—სთქვა ემმეტმა—დღეს გაიმარჯვეს. დელეგაციის მდივნად ლონდონის კონფერენციაზე დანიშნულია როტშტეინი, რომელსაც კერზონი, როცა ის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ბრალს სდებდა ანტი-ინგლისურ ზრახვებში სპარსეთში და მისი უკან გამოწვევაც სცადა.

ლორდ პარმურმა მთავრობის სახელით განაცხადა, რომ ზინოვიევის განცხადება „ღირსია გმობის“, მაგრამ ეს ჩაიდინა მან მესამე ინტერნაციონალის, და არა საბჭოთა კავშირთა, და არ არის არავითარი საფუძველი იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ვაჭრობა საგრძნობლად განვითარდება მომავალში. „ბოლშევიკებმა, განაცხადა კერზონმა, არ შესწყვიტეს თავისი პრაპაგანდა. საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს უკიდურეს ნაციონალისტების გამოსვლას ირლანდიაში, ინდოეთში და სამხრეთ აფრიკაში.

კერზონის აზრით, ინგლისის მთავრობას უნდა წამოეყენებია შემდეგი მოთხოვნილებები, რომლებიც საჭირო იქნებოდა ნორმალურ ურთიერთობისათვის საბჭოთა კავშირთან: საბჭოთა მთავრობის მიერ საგარეო ვალების ცნობა, საერთაშორისო უფლებათა ნორმების დამორჩილება და ვალდებულება დაუბრუნდეს „ცივილიზაციის კანონებს, რომელიც მიღებულია კულტურულ ერების მიერ“.

კერზონმა აღნიშნა, რომ რუსეთის მიერ ომამდი აღებული ვალები უდრის 167 მილიონ გირვანქა სტერლინგს, ხოლო ომის დროის ვალე-

ბი უდრის 630 მილიონ გირვანქა სტერლინგს. კერზონმა განაცხადა, რომ უეჭველია, საბჭოთა მთავრობა მოითხოვს გრძელ ვადიან კრედიტებს, რაიც მისცემს მას შესაძლებლობას არ მისცეს ინგლისის ქარხნებს დაკვეთები და აღადგინოს რუსეთის მრეწველობა ინგლისის მრეწველობასთან საკონკურენციოდ.

„ინგლისი-სთქვა კერზონმა-საბჭოთა მთავრობის თვალში წარმოადგენს ციხე სიმაგრის საშიშ ნაწილს, რომლის წინააღმდეგ ის ამზადებს შეტევას: კერზონმა გამოსთქვა უკმაყოფილება რონშტეინის წინააღმდეგ, რომელიც იღებს მონაწილეობას საბჭოთა დელეგაციაში ლონდონის კონფერენციაზე და წარმოადგენს „არა კეთილ სინდისიერ მომუშავე პიროვნებას“ ინგლისისა და სპარსეთის წინააღმდეგ.

მთავრობის სახელით ლორდ კანცლერმა უპასუხა, რომ კერზონმა დაამტკიცა მისი ღონისძიების სისუსტე, როდესაც ის იყო საგარეო საქმეთა მინისტრად. მთავრობას ოდნავადაც არ სურს ჩაერიოს საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში და არ ფიქრობს გამოუდგეს ნემსით ჩხვლეტის პოლიტიკას, რომელიც სრულიად უმნიშვნელო გამოდგა.

ჩვენ და ისინი

ვენის კონფერენციის გახსნა.

27 მარტს, დღის სამ საათზე, ავსტრიის ლანდტაგის შენობაში, ავსტრიის მთავრობის წარმომადგენლების, რუმინეთის და საბჭოთა კავშირის პრესის წარმომადგენლების თანადასწრებით გაიხსნა რუმინეთ-საბჭოთა კონფერენცია. ავსტრიის მთავრობის სახელით კონფერენცია გახსნა საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიუნბერგერმა, რომელმაც მიესალმა დელეგაციას და უსურვა კონფერენციას წარმატება.

კრესტინსკიმ მადლობა გამოუცხადა ავსტრიის მთავრობას სტუმართმოყვარეობისათვის და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა დაეთანხმა კონფერენციის მოწვევას ვენაში მტკიცე რწმენით, რომ აქ, ავსტრიის მთავრობის მშვიდობიანობის მოყვარე პოლიტიკის მეოხებით, კონფერენციის მუშაობა იწარმოებს მეტად კეთილ სასურველ პირობებში. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მიმართული იქნება საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ. ამ მიზნებით შთაგონებულია საბჭოთა დელეგაცია დაიწყებს ის სადაო საკითხების მოგვარებას რუმინეთთან.

რუმინეთის დელეგაციის თავმჯდომარის მოკლე სიტყვის შემდეგ სხდომა დაიხურა.

რუმინეთი აწყობს მიტინგებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რუმინეთის მთავრობა აწყობს ბესარაბიასა და მოლდავეთში მიტინგებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აწარმოებენ უმაგალითო ტერორს, რომ დემონსტრაციას მისცენ მასიური ხასიათი. მიტინგებზე და დემონსტრაციებზე მონაწილეობას იღებენ უმეტეს ნაწილად, ფაშისტი—სტუდენტები.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში

პუანკარეს „გადადგომის“ გარშემო.

მთელი საფრანგეთის ოფიციალური პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პუანკარეს გადადგომა მოხდა სრულიად შემთხვევით, და ის დაუბრუნდება თავის ადგილს. მემარცხენე პრესა აღნიშნავს, რომ პუანკარე არ გაუკვირვებია მთავრობის დამარცხებას და ჰფიქრობს ისარგებლოს იმით, რათა თავიდან მოიშორონ არა პოპულიარული მინისტრები.

„მატენი“ სწერს, რომ მილიერანმა განაცხადა, რომ ძირითადი ხაზი საფრანგეთის პოლიტიკის შეიძლება შეცვლილ იქნას მხოლოდ მთელი ქვეყნის ნათლად გამოთქმული ნებით. მილიერანი ფიქრობს, რომ პუანკარე შეადგენს ახალ კაბინეტს და გააგრძელებს ახალ პოლიტიკას.

პუანკარე ჯამბაზობს.

პუანკარე პრინციპიალურად დაეთანხმა ახალი მთავრობის შედგენაზე. საბოლოო პასუხს ის მისცემს საღამოს, თავის პოლიტიკურ ამხანაგებთან თათბირის შემდეგ. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ პუანკარეს პასუხი დადებითი იქნება.

იტალიის გამოძახილი.

იტალიის პოლიტიკური წრეები პუანკარეს გადადგომას უყურებენ, როგორც კრიზისს საფრანგეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ნაციონალისტები მაინც სთვლიან სასურველად პუანკარეს კაბინეტის აღდგენას.

პუანკარეს კაბინეთი.

პარიზში მყოფ „დეილი მეილი“-ს კორესპონდენტის ცნობით, პუანკარეს კაბინეტის შემადგენლობა შემდეგია: მარსალი—ფინანსთა მინისტრი მაჟინო—სამხედრო, ლუშერი ვაჭრობის, ლე-ტროკე—საზოგადოებრივი მუშაობის, ვენსანი—შრომის, დეჟუვენელ—სახალხო განათლების, პოლკოვნიკი ფაბრი—კოლონიების, დებელოვი—საშინაო საქმეთა, პერე—იუსტიციის, ბოკანოვსკი—საზღვაო, დიუპრე—მიწად მოქმედების, ლიუი-მარენ—განთავისუფლებულ ადგილების.

პოლიტიკურ პლათფორმის მიხედვით ახალი კაბინეთიო მინისტრები ნაწილდება შემდეგ ნაირად: მარსელი ეკუთვნის რესპუბლიკელთა კავშირს, დეჟუვენელი წევრია მემარცხენე დემოკრატიულ რადიკალურ პარტიის, დიუპრე და მარენი არიან რესპუბლიკანურ დემოკრატების კავშირის წევრები, ბოკონოვსკი და ფაბრი არიან „აკსიონ რეპუბლიკენ სოციალ“-ის წევრები, ლე-ტრიუკე-მემარცხენე რესპუბლიკანელი, მაჟინო და ლუშერი ეკუთვნიან მემარცხენე რესპუბლიკანურ დემოკრატიულ პარტიას, დანიელ-ვენსანი-რადიკალ სოციალისტურ პარტიის წევრია.

რესპუბლიკანური კონცენტრაციის კაბინეტი.

„პტი პარიზიენი“ სწერს, რომ პუანკარემ, რომელიც ერთგულია თავისი მოძღვრების, შეადგინა რესპუბლიკანური კონცენტრაციის კაბინეტი. ბურჟუაზიული გაზეთების აზრით დესელვას მონაწილეობა კაბინეტში არის „საარჩევნო კომპანიის და თვით არჩევნების სიწმინდის გარანტია“

პუანკარე ილტვის დიქტატურისაკენ.

საფრანგეთის საზოგადოებრივი წრეები ფიქრობენ, რომ პუანკარე მოითხოვს დიქტატორულ უფლებების მინიჭებას ახალ კაბინეტისადმი.

განცხადება

ოთხშაბათს, 31 მარტს, საღამოს 6 საათზე შესდგება ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციის მორიგი სხდომა:

1. კომუნალური სექციის—სათათბირო დარბაზში.

დღის წესრიგი:

1) კეთილ მომწყობ განყოფილების მუშაობის შესახებ.
2) ხორცის დამზადების საკითხი.

2. ს ფინანსო სექციის—მე 5-თე ოთახში.

დღის წესრიგი:

1) ქალაქის ბიუჯეტის განხილვა.
2) საფინანსო განყოფილების რეორგანიზაციის შესახებ.

3. საადგილ-მამულო სექციის—მე-31-ტე ოთახში.

დღის წესრიგი:

1) აგრო დახმარების საქმე.
2) მიწის რეფორმის გატარება მაზრაში და ქალაქში.
3) ქალაქის ბაღები და საბჭოთა მამულები.

4. ჯანმრთელობის სექციის -ჯანმრთელობის განყოფილების ოთახში ალმასკომის მეორე სართულზე.

დღის წესრიგი:

1) სექციების მოხსენებები თავის მუშაობის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

5 ზაჰესკომის სექციის—ზაჰესის კანცელარიაში.

დღის წესრიგი:

1) სექციის ბიუროს მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმის დამტკიცება.
2) ზაჰესის ძირითადი გეგმის შესახებ.
3) მიმდინარე საკითხები.

6. განათლების სექციის—განათლების განყ. კანცელარიაში.

დღის წესრიგი:

1) საორგანიზაციო საკითხები.

სექციის წევრები მოვალენი არიან დაუგვიანებლივ გამოცხადნენ თავიანთ სექციების სხდომებზე.

იმ საბჭოს წევრთა საყურადღებოთ, რომლებთაც დღემდისაც, მიუხედავათ არა ერთი განცხადებისა არ შეუვსიათ საანკეტო ფურცლები და არ ჩაწერილან არც ერთ სექციაში, უკანასკნელათ ეძლევათ გაფრთხილება, რათა შეავსონ საანკეტო ფურცლები და ჩაეწერონ სათანადო სექციაში. ვინც არ გამოცხადდება იმათ შესახებ იქნება მეორეჯერ დასმული საკითხი საბჭოს პლენუმზე.

რეგისტრაციის ვადა გრძელდება ა/წ 7-აპრილამდე მე-5-თე ოთახში დილის 9-საათიდან 3-მ საათამდე.

პრეზიდიუმი.

უკრაინის წითელ პარტიზანების ბრძოლიდან 1919 წ. ელისავეტგრადში.

(მოგონება)

გრიგორიევის ჯარი კარგად მიცნობდა. ატამანმა იასინსკიმ და მისმა ადიუტანტმა ზრდილობიანად მომეპყრენ და მათ ეს ძალიან ვეცდებით არ დავხვრიტონო, მაგრამ საიდუმლოდ გაგზავნილი ქაღალდის ასლი ხელში ჰქონდა, სადაც ამხ. კობელევს ხერსონის გუბ. სამხ. კომისარს უხსნიდი მდგომარეობას და ვსთხოვდი განიარაღების საჭიროებას; ჩვენს წინააღმდეგ ბრალდებათ მხოლოდ ეს იყო და არა „ჟიდობა“ რადგან იცოდნენ, რომ „კრისტიანი“ ვიყავი და ქართველი. ამასთან კიდევ საქმეს მიფუჭებდა ერთი საათის წინ მესამე არმიის შტაბის უფროსის მიერ გამოძახება და შემდეგი მისი განკარგულება: „Посилается в Ваше распоряжение туземные войска и броневик, берегите себя и деиствуйте смелее, штаб армии уже в курсе дела. სწორედ ოდესიდან წამოსულ რაზმის ერთი ნაწილის უფროსი შ. დადიანი იყო. ის ეხლა თბილისშია და მსახურობს გარეშე საქმეთა კომისარიატში.

ეშალონში სადაც მიმიყვანეს, კამანდირებს თავისი სამხედრო კომისრები და პოლიტხელმძღვანელები დაეპატიმრებიათ. იქვე დამხვდა დაპატიმრებული გრიგორიევის დივიზიის სამხედრო კომისარი. (გვარი არ მახსოვს ცნობილ ტიტიუნიკს მე არ ვიცნობდი ის თურმე იმ დღესვე ჩამოსულიყო.

მან ჩემი თვალის წინ გასცა განკარგულება დეპეშით: „вопрос восстания решен. Ешелоны двигаются. Александрия, Елисаветград, Ананиев и другие города в наших руках, необходимо принять в члены партии атамана Григорьева, ამას ესერების ცეკას უგზავნიდა.

რადგან წითელი ჯარის ნაწილებში მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულნი იყვნენ, საბჭოთა მთავრობის ერთგულნიც მოიპოვებოდნენ და საიდუმლოთ მოქმედებდენ, რათა შტაბს არ შეემჩნია, რომ ისინი აჯანყებას ხელს არ უწყობდენ.

აგრეთვე გამოცემულ მოწოდებაში უნივერსალში შემდეგი აზრი ჰქონდა გატარებული, გაუმარჯოს ნამდვილ საბჭოთა ხელისუფლებას და არა მარტო ებრაელების და კომუნისტების ხელისუფლებასო, სხვა ნაირად გულუბრყვილო გლეხებს ვერც მოიმხრობდენ. მათ არ უნდოდათ ნიღაბის ახდა. რეაქციის და დენიკინის, თითქოს წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ეს ნამდვილი კონტრ-რევოლიუცია იყო.

თავიანთ ლოზუნგის გამართლებისათვის, რომ მარტო „ჟიდ“ კომუნისტებს ებრძოდენ, ჩვენი თავის დაღწევა ადვილი შეიქმნა. შესახედავად ჯარისა გაგვიშვეს. ჩემზე დიდი ვაჭრობა შეიქმნა, ტიტიუნიკი არ თანხმდებოდა განთავისუფლებას და მოითხოვდა ატამან გრიგორიევთან ჩემს წაყვანას ალექსანდრიაში, სადაც უთუოდ აღსასრულის დღე დადგებოდა მაგრამ ატამან იასინსკიმ, რომელსაც კარგად ვექცეოდი, როდესაც ის პოლკის უფროსი იყო, თავისი გაიტანა და ამნისტია ჩემზეც გაავრცელა. მაგრამ ღამით ისევ ძებნა დაგვიწყეს, თითქოს არა ახალმა მთავრობამ, არამედ უპასუხისმგებლო პირებმა დახვრიტესო. რა თქმა უნდა იმავე წამში მივიმალენით, ეს ამნისტიი ძვირად დაუჯდათ. მესამე დღეს ელისავეტგრადიდან გარდა ერთი ბათალიონისა, ფრონტზე გაგზავნა ჯარი გრიგორიევის მთავრობამ, რადგან ხარკოვიდან ავანტიურის ჩასაქრობად დიდძალი წითელი ჯარი დაიძრა. მოწინააღმდეგენი შიშმა შეიპყრო, ბათალიონთან მოლაპარაკების შემდეგ ელისავეტგრადში ისევ საბჭოთა ხელისუფლება აღსდგა. ეს მომენტი კარგად იყო გაშუქებული მაშინ იქაურ რუსულ გაზეთში.

ჩვენს სიხარულს ქალაქის ისევ დაკავების შესახებ მოკლე ვადა დაურჩა. გრიგორიევმა ორი პოლკი ელისავეტგრადისაკენ გაგზავნა. არტილერიამ ქალაქს განადგურება დაუწყო, ბრონევიკები ხელიდან ხელში გადადიოდა. შალვა დადიანის ბრონევიკი და რაზმი გაანადგურეს. ოდესიდან გამოგზავნილ მეზღვაურების მეორე რაზმმა, როდესაც შეიტყვეს მტერი ორ ვერსზე ქალაქს მოუახლოვდაო, ჩვენს ამხანაგებს დაპატიმრება დაუწყეს, და მტრისაკენ გადავიდენ. კურსანტების მთელი შემადგენლობის ნახევარი ბრძოლის ველზე დაიხოცა, იქვე მოკლეს ამხანაგი ვლადიმიროვის ძმა და მრავალი ამხანაგები.

უკან დასახევი გზა უკვე მოჭრილი იყო. რკინის გზის რელსები აყრილი. რკინის გზის მოსამსახურენი გაიპარენ, მაგრამ ერთ მემანქანეს შტაბმა ძალათ წააყვანია მატარებელი. რკ. გზ. ლიანდაგი სასწრაფოთ აღადგინეს და პირველ სადგურზე ეშალონი შესდგა. ეს ისეთი მომენტი იყო, რომ ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობდა. ამხანაგი პეტრე გალუბენკო (ამ ჟამათ კიევშია დივიზიის უფროსათ) და ამხ. აზარი ქალი ამ დროს ჩვენთან იყო. სადგურ ნოვოუკრაინსკაში ეშალონს ისევ ჩვენი პარტიზანები დახვდენ. ყოველგან გრიგორიევის აგენტები იყო, და პროვაკაციას ეწეოდენ „აი ხომ ხედავთ“ ამბობდენ ისინი, კომისრები მობრძანდებიან, ესენი ჟიდებიაო და ქალაქი გრიგორიევს დაუტოვესო“, მათ ეს სჭიროდათ საპროვაკაციოთ; ეშელონი თან და თან ალყას გვარტყამდა. ეშალონის ალყის შემორტყმა უწინ აზარამ შეამჩნია და გვითხრა: „ამოიღეთ ნაგანი და თავი მოვიკლათო უკვე მტერი შემორტყმულიაო“, თავის მოკვლამდი რა თქმა უნდა გვეცადა რამე. ცდა ბედის მონახევრეაო ნათქვამია და ჩვენც ასე მოვიქეცით.

აქ ძალით არ შეიძლებოდა რა სიტყვას უნდა გაეჭრა. ამ შემორტყმულ ჯარს ვითომც აქ არასფერიო; უბრძანე დიდის რიხით იმავე წამში მოაგროვილიყვენ, რომ შტაბს გამოსაცხადებელი აქვს თუ რა ჩაიდინა გრიგორიევმა. თან უთხარი რომ ეხლა პეშეხონოვის და ატამან ტკაჩენკოს დივიზია მიდის, ამავე წამში მას შეუერთდეთ და ერთათ ავიღებთ ელისავეტგრადსთქო. თან ვლადიმიროვი და სხვა კარგი ორატორები ამათთან დავსტოვეთ და ჩვენ წავედით.

(გაგრძელება იქნება)

თენგიზ ელენტი.

ჩვენი წითელ კარში

ქართ. დივიზიის უფ და პოლიტ-შემადგენლობის და წითელ არმიელების საყურადღებოდ.

ქ. მ. დ. ცენტრალური კლუბის გამგეობაში შეკითხვებიც შედის იმის შესახებ, თუ რატომ თანახმად კლუბის გამგეობის მიერ გაზეთებში განცხადებისა, ცენტრალურ კლუბს არ ეწოდა ამხ. თენგიზ ჟღენტის სახელი. ამიტომ ც. კლუბის გამგეობა მოვალედ სთვლის თავის თავს გამოაცხადოს; ვინაიდან ამხ. თენგიზ ჟღენტმა კატეგორიული უარი განაცხადა კლუბს სწოდებოდა მისი სახელი და გვთხოვა გვეწოდებია ოქტომბრის რევოლიუციის სახელწოდება, ამიტომ იძულებული გავხდით არ შეგვესრულებია პოლიტ-მომუშავეების სურვილი და გამგეობის დადგენილება.

კლუბის გამგეობა.

ჩვენი კედლის გაზეთები.

„ჩირაღდანი“ (მეორე ლეგიონის კედლის გაზეთი) № 27,28 და 29 ერთად, სამი ნომერი აზის ამ გაზეთს (არვიცით რატომ დასჭირდათ გამომცემლებს ერთი გაზეთის სამი ნომრით გამოშვება!) გაზეთი საიუბილეო ნომერია (ლეგიონის არსებობის 2 წლის და გაზ. „ჩირაღდნის“ 6 თვის არსებობაზე). დიდი ფორმატისა, მაგრამ ზემო ნახევარი ნაწილი თითქმის ატლასს (გლობუსი) და ორ ჩირაღდანს უჭირავს. თითონ რუკა არაფერსა ჰგავს, არც რომელიმე მატერიკის სახეს.

მეორე (დაბლა) ნახევარზე მოთავსებულია წერილები: „მეთაური“ პ. კუჭუხიძისა, „ჩვენი შეფი“ ა. გ—ძესი, „მეცადინეობის ცხრილი“ გოგია მესტვირეს ლექსი, „ჩვენ შემოქმედებაში“. იონა ჟღენტის და სხვების ლექსები. უნდა ითქვას, რომ როგორც წერილები ისე ლექსები დახვეწილია და ეტყობა მცოდნე ხელი, მაგრამ ქაღალდი ცუდია და ხელნაწერიც ვერ იზიდავს თვალს. იმედია გამომცემლები მიაქცევენ ამ ნაკლს ყურადღებას და გამოასწორებენ შემდეგისათვის.

ასეთი კარგი მასალები, როგორიც ამ გაზეთშია, ღირსია მეტი ყურადღებისა და როგორც მეორე ლეგიონის კულტურულ ძალებს ვიცნობთ არ გაუჭირდებათ ეს.

კედლის გაზეთებზე არა ერთხელ დაწერილა ჩვენს გაზეთში და იმედია იმ დარიგებებით ისარგებლებენ.

ისე გაზეთი მაინც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

სანი.

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლა.

22 მარტს ჩვენს სკოლაში ჩატარდა კოლეგიური მოხსენება „პარიზის კომუნის“ შესახებ, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 18 მარტს, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. თვით მოხსენებაზე არას ვიტყვი, ვინაიდან მის გაშუქებას სხვა ამხანაგები იმეორებენ. მე კი შევეხები მხოლოდ საღამოწარმოდგენას, რომელიც დაიდგა პირველი ასეულის ძალებისაგან. დადგმული იქმნა 5 მოქ. დრამა ირეთლისა „დამარცხებულნი“ დრამის ღირებულებამ და მნიშვნელობამ დიდი კმაყოფილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე. სრულებით არ დასტყობია დრამას უარყოფითი მხარეები, მიუხედავათ იმისა რომ როლებს ასრულებდნენ ამხანაგები, რომელთათვის პირველი იყო სცენაზე გამოსვლა.

ორი თვის წინად სკოლაში სხვა წრეებთან ერთად არსებობდა დრამატიული წრეც. მის შემდეგ კი ფაქტიურათ გაუქმდა დრამწრე და ასეთები არსდებიან ასეულებსა და განყოფილებებში, რომლებიც რიგ რიგობით ემზადებიან ამა თუ იმ აღნიშნულ დღეს წარმოდგენა საღამოების გასამართავად. ასეულებსა და განყოფილებებს შორის იბადება წახალისება უნარიანობა და თითეული მათგანი ცდილობს, რომ ერთმანეთს არამც თუ ჩამორჩენ, პირიქით და ესეც არის მიზეზი, რომ გადაჭარბებით მართლდება იმედები იმ ამხანაგებისაგანაც კი, რომლებიც კიდევ ვიმეორებ პირველათ ეცნობიან სცენას. ვფიქრობ რომ უადგილო არ იქნება შევეხოთ: მისაღებია თუ არა ასეთი ნაბიჯების გადადგმა სამხედრო ნაწილებში და მით უმეტეს ჩვენ სკოლაში?

დარწმუნებული ვარ ყველა დამეთანხმება ამაში. რამდენს სწერენ და ლაპარაკობენ იმაზე, რომ პოლიტიკურ—განვითარებასთან ერთათ საჭირო ხელოვნების შესწავლა და შეთვისება და განსაკუთრებით კი თეატრის. თუ ეს ასეა მაშინ ჩვენი სკოლის შემადგენლობის 25 პოლიტიკურ განვითარების მოტრფიალე ამხანაგებია და აქეთკენაც მეტი ყურადღების მიქცევაა საჭირო ვინემ საამისოთ დღემდის არსებობდა.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ ყოველ საქმეს წინამძღოლი და მეთაური სჭირდება, და არც აქ ვართ სუსტი. პირიქით ამ შემთხვევაში გვყავს რეჟისორი ამხ. ჭიჭინაძე, რომელიც დიდ შრომას და ენერგიას ხარჯავს ასეთ საქმეებში და პირადათ ასეული ამისთვის დიდ მადლობას უცხადებს მას. მასთან ერთათ ასის თავებს ამხ. ლისინოვს და ამხ. გველესიანს, ვინაიდან უკანასკნელები არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ ასეულის საკეთილ-დღეოთ.

უსურვებთ როგორც ზემოხსენებულს ისე სხვა ასეულებსა და განყოფილებებს—კვლავ ნაყოფიერ მუშაობას.

სამხკორი: ა. წილოსანი.

უსარგებლოთ დროს არ ვკარგავთ.

23 მარტს, დილის 10 საათზე, ქართ. დივ. სამხ. პარტ. სკოლაში შესდგა გაერთიანებული კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამავე სკოლის უფ. ამხ. გაბუნია და მდივნობდა ამხ. ბაღათურია. დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი კოოპერაციის შესახებ. მოხსენებას აკეთებს ამავე სკოლის ლექტორი ამხ. ცაგარელი, აღნიშნავს კოოპერაციის განვითარების ისტორიას. მომხსენებელმა დიდხანს ილაპარაკა კოოპერაციის მნიშვნელობაზე და დასასრულ მოუწოდა კურსანტებს და უფ. შემადგენლობას დიდი ყურადღება მიაქციონ კოოპერატივის ამოძრავებას, მომხსენებელი დაჯილდოვებული იქნა ტაშით. შემდეგ იქმნა გამოტანილი რეზოლიუცია. მოვისმინეთ რა ამხ. ცაგარეიშვილის მოხსენება კოოპერაციის შესახებ, რომელმაც თვალ წინ გადაგვიშალა ის უარყოფითი მხარეები, რომელიც ელობებოდა კოოპერაციის განვითარებას, მაგრამ მას სათანადო ყურადღებას აქცევს საბჭოთა რესპუბლიკები. მასთან ერთად ჩვენ პარტ. სკოლის კურსანტები მხარს უჭერთ ამ უდიდეს საქმეში საბჭ. ხელისუფლებას, ვეყრდნობით რა ამხ. ლენინის მითითებას, რომელიც ლაპარაკობდა „კოოპერატივის საშუალებით უნდა დაუახლოვდეთ ერთი მეორეს სოფლები და ქალაქებიო“, ვსდებთ მხედრულ ფიცს, რომ გაუმაგროთ ზურგი კოოპერატივების გაძლიერებას, რომელიც გვჭირდება „მაკრატლის“ პრობლემის საკითხში. შემდეგ კრება იხურება. სამხ. პარტ. სკოლის კურსანტი.

ვ. თაბუკაშვილი.

ქართულ დივიზიის ვეტლაზარეთის ცხოვრებიდან.

11 მარტს 1924 წ. დივვეტლაზარეთის ცხოვრებაში აღინიშნა ერთი ფრიად სასიამოვნო მოვლენა.

დივვეტლაზარეთის პოლიტხელმა ამხ. კონსტანტინე ვაშაძემ მოიყვანა ქუჩაში მოხეტიალე, უპატრონო შიშველ-ტიტველი, ძალზე გამხდარი გაყვითლებული, მშიერ-მწყურვალი 12 წლის ბავშვი ალექსანდრე ლეკიშვილი. ბავშვი შეუბრალებელ ნათესავებს (ბიძებს) გარეთ გამოეგდოთ და ბედის ანაბარად გაეშვათ. უეც ბავშვის გამომეტყველებამ, როგორც წ. არმიელების აგრეთვე უფშემადგენლობის გულში გააღვიძა ერთგვარი შეცოდების და დახმარების ინსტიქტი. ყველამ ერთბაშად დაუყონებლივ გადაწყვიტა მოეწვიათ საერთო კრება და ეცნობებიათ დივვეტექიმისთვის, რომ კანონიერად დივვეტლაზარეთს ეშვილებია ეს პატარა უპატრონო ბავშვი ამხ. ლენინის სახელობაზე.

კრება იყო მოწვეული 11 მარტს დივვეტექიმ ამხ. ფარეიშვილის თავმჯდომარეობით.

კრების თავმჯდომარემ მოკლედ დაახასიათა ღრმა მნიშვნელობა ამ პატარა ბავშვის შვილობის და აღზრდის შესახებ, ამხ. ლენინის სახელობაზე.

კრებამ მოისმინა რა შინაარსიანი სიტყვა ამხ. დივვეტექიმის ფარეიშვილის, ერთხმად დაადგინა:

1. იქნეს აღნიშნული უპატრონო ბავშვი ალექსანდრე ლეკიშვილი ნაშვილები ამხ. ლენინის სახელობაზე, ლენოს სახელწოდების შეცვლით და ჩაირიცხოს დივვეტლაზარეთის წ. არმიელთა შტატში.

2. მზრუნველად დაენიშნოს ამხ. ვეტფერშალი კოპლატაძე, კანდიდატათ ამხ. ვაშაძე.

3. დღეიდან დაეჭიროს ყველა წ. არმიელებს და უფშემადგენლობას ჯამაგირიდან 1 პროც. და უფშემადგენლობას 1 დღის ულუფა ლენოს სასარგებლოდ.

4. ფული შეიტანოს მზრუნველმა შემნახველ სალაროში, საიდანაც მზრუნველის მიერ იხარჯება ბავშვის საჭიროებისათვის კრების შეკითხვით.

ამ გვარათ ქართულ დივვეტლაზარეთმა, მიუხედავად თავის მცირე რიცხოვან თანამშრომლებისა (სულ არის 13 წ. არმიელი. 9 წ. არმიელი მოვლინებული და 7 კაცი უფშემადგენლობა) დიდი საქმე გააკეთა.

ჩვენ ყველა როგორც წითელ არმიელები, აგრეთვე უფშემადგენლობა ფიცს ვსდებთ ლენინის და მის მიერ ნაანდერძევ მოძღვრების წინაშე, რომ პირნათლად ავასრულებთ ჩვენს დანაპირებს, რომ პატარა ლენო ავღზარდოთ, გავწრთნათ ისე ყოველგვარ დარგში, რომ სავსებით მომზადებული ამოუდგეს გვერდში მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ავანგარდს, რომ ჩვენი ლენო იყოს დიდებულ მასწავლებლის ღირსეული მოწაფე.

დამსწრე სტუმარი.

პატარა ფელეტონი

თითების თვლა.

ცალკე საკავშირო ასეული.

უვადო შვებულებაში მიმავალ უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენციაზე დელეგატების ასარჩევი კრებაა სკოლაში.

აირჩიეს თავმჯდომარედ ამხ. ს—ძე, მდივნად ამხ. ჯ—ია და რადგანაც მდივანმა წერა არ იცის—თავმჯდომარე ასრულებს მის მოვალეობას.

სიტყვას ამბობს კრების მიზანზე და მნიშვნელობაზე ამხ. კ—ლი.

—ამხ. კ. შემიძლიან სიტყვა ვსთქვა?—თითის აწევით სთხოვს მ—ძე მოლაპარაკეს და თავმჯდომარეს გვერდს უხვევს.

დამსწრეებში გაისმის სიცილი.

დაასახელეს 11 კანდიდატი—ასარჩევია 6.

—ამხანაგებო, მხოლოდ ექვსჯერ უნდა ასწიოთ ხელი!—აფრთხილებს მ.

—ამხანაგებო, 15 მარტს მიდიხართ უვადო შვებულებაში—ეუბნება კ.

ტაშის გრიალი არყევს მთელ ყაზარმას და... გახარებული სახეები უფრო ნათლდება.

—აბა ვინა ხართ მომხრე ამხ. ბ—ისა?—ეკითხება სა—ძე და ითვლის თითებს, იბნევა, რამდენჯერმე იმეორებს და გაკვირვებული მხრებს იწევს.—ამხანაგებო, აქ რაღაცა გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი. აქ 200 კაცია და თითები კი აწეული აქვთ 201-ს. რამდენიც ითვალა იმდენჯერ ასევეა.—ამხანაგებო ორივე ხელს ხომ არა სწევთ?

—არა! არა!—ისმის არეული თანხმოვანი გამოძახილები.

—კარგით, დაუშვით ხელები. ერთხმადაა ამხანაგი არჩეული.

აბა ვინ ხართ ა—ძეს მომხრენი?

—ერთი! ორი! სამი—ითვლის—87. თავი ვინ შეიკავა? ერთი? ორი... სამი... თფუ! ვერ გამიგია რაშია საქმე! 114-ტია.

ყველას უკვირს ეს ამბავი და რამდენჯერმე ითვლიან კვლავ, მაგრამ ისევ ისეა.

ასე გაგრძელდა თითქმის ყველა კანდიდატების კენჭის ყრაზე და როცა უკანასკნელზე მიდგა საქმე და თავმჯდომარე-მდივანმა კვლავ დაიწყო თვლა და ერთი მუდამ მეტი გამოვიდა—დაიბნა და შემდეგ დაიყვირა:—შენ, ეი, ამხანაგო, მანდ კედელთან, რომ დგეხარ და ყველაზე თითსა სწევ როგორც ხმის მიცემისას, ისე თავის შეკავებისას—ეს ყოვლად დაუშვებელია. ჩამოუშვი ხელი!

ის მაინც ისევე სდგას და იღიმება——ჩამოუშვი მეთქი ხელი არ გესმის?!

მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ; ყურსაც არ იბერტყავს ის.

ყველამ მიიხედა უკან, რომ ენახათ ვინ იყო ეს თავხედი, რომელიც არ ემორჩილებოდა თავმჯდომარესა და გაისმა გულიანი ხარხარი. გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ცოცხალი ადამიანი კი არ იყო, არამედ წითელ არმიელის სურათი კედელზე დახატული. რომელიც მარჯვენა ხელს იშვერს მზისკენ და მოუწოდებს ამხანაგებს სწავლა-განათლებისაკენ.

ასეთი მხიარულება გამოიწვია ამ ამბავმა და დიდხანსაც იცინეს ბევრი თავმჯდომარისავე მეთაურობით. მხიარულად ჩატარდა თითების თვლა.

ჟიჟლიჟო.

ქარ. დივ. სამხედრო რევტრიბუნალში.

შენგელიას და ლოლუას საქმე.

ლავრენტი კონსტანტინეს-ძე ლოლუა ღ მიხეილ ეფრემის-ძე შენგელია ორივე გლეხები და მიწის მუშის შვილები არიან. სამოსწავლო ათასეულის კოოპერატივის გამგეობის წევრებად ითვლებოდენ. შენგელია იყო გამგეობის თავმჯდომარე და როგორც ბუხგალტერიის მცოდნე იგი აწარმოებდა კოოპერატივში ყოველგვარ ანგარიშებს.

რა ედებათ ბრალად.

ბრალი ედებათ კოოპერატივის საქონლის მითვისება, გაფლანგვაზე და ქურდობის სიმულიაციაში (მოგონებაში). აღნიშნული ბრალდებულნი იძლეოდნენ ფულს და საქონელს, ათასეულის უფროსების განკარგულებით ნისიათ და ავანსათ, რაიც ხშირათ რჩებოდა დაუბრუნებელი და არ ტარდებოდა სათანადო წიგნებში, არამედ ინახებოდა უთავბოლოთ.

1922 წლის 11 სექტემბერს შენგელიას მიერ დათვლილი ფული 89.400.000 მან. შენახული იყო ყუთით კოოპერატივში. იმ ღამეს შენგელია და ლოლუა უნდა წასულიყვნენ გომში, მაგრამ ღამე შენგელიამ განუცხადა მასთან მისულ ერისთავს რომ ვერ წამოვალ გომში, რადგანაც ლოლუა ავათ გახდა და ფულიც არ მყოფნისო.

ბოროტმოქმედება.

11 სექტემბერი ღამე წვიმა და ქარი იყო. ბოროტ გამზრახველებს გამოეჭრათ ბურღით და დანით ის ადგილი, სადაც იდგა ყუთი ფულით და წაეღოთ ფული. კოოპერატივის კარები კი გარედან ბოქლომით დაეკეტნათ, რომ ვინიცობაა ლოლუას და შენგელიას გამოღვიძებოდა და გაეგოთ ბოროტმოქმედების შესახებ, ქურდებს გაქცევა შესძლებოდათ.

მართლმსაჯულების სიტყვა.

სამხ. რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა, ბრალდებულ შენგალიას და ლოლუას მოხსნა ბრალდება ფულის გატაცების შესახებ დაუმტკიცებლობის გამო. აგრეთვე ბრალდება მითვისება—გაფლანგვის შესახებ მოხსნილ იქნა ხოლო, როგორც სამსახურისადმი გულგრილი დამოკიდებულება და უყურადღებობისათვის მათ წარედგინათ ახალი ბრალდება, რაც ტრიბუნალმა სცნო დამტკიცებულათ და მიუსაჯა მათ თითო წლით გამასახლში მოთავსება, თავისუფლების აღკვეთით.

1923 წლის თებერვლის ამნისტიის მეორე მუხლის ძალით ისინი სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნენ.

დანიშნული საქმეები.

— **დეზერტირების საქმე.** 81 მარტს დანიშნულია გასარჩევათ 1-ლი ლეგიონის წით. მოლაშქ. მოსე გურაშვილის, ჯღარკავა სიმონის და საკავ. ასეულის წით. არმ. პეტრე

სკობინის საქმე. ყველას წაყენებული აქვთ ბრალდება 211 მუხლის ძალით, რაიც გულისხმობს დეზერტირობას.

— **ინჟენერის საქმე.** რევტრიბუნალის გამომძიებელმა დაასრულა გამოძიება საარტ. დივიზ. ინჟენერ ვახვახიშვილის საქმეზე და საქმე გასარჩევათ გადაეცა მეორე უბნის სახ. სასამართლოს.

ახალი ამბები.

— **ავათმყოფ წითელ არმიელთათვის.** უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა წარუდგინა მოხსენება საქ. ცაკს ავათმყოფ და დაჭრილ წითელ არმიელთა დამხმარე კომიტეტის დაარსების შესახებ.

— **წიგნები მეფუტკრეობაზე** მეფუტკრეობის ბიურომ ამერიკიდან მიიღო წიგნები მეფუტკრეობის შესახებ.

— **სამეურნეო ტეხნიკუმში.** სამეურნეო ტეხნიკუმში (თფილისში) შემოღებულ იქნა პრაქტიკული ვარჯიშობა მესაქონლეობაში.

— **დაკლული საქონელი.** ქალაქის სასაკლაოზე იანვრის განმავლობაში დაკლულა 8271 სული და თებერვალში 6847 სული საქონელი.

— **მოხეტიალე ბავშვები.** ბავშვთა დამხმარე საზოგადოებამ აღრიცხვაზე აიყვანა 147 ქუჩაში მოხეტიალე ბავშვები. მათ თავშესაფარში მოსათავსებლათ.

— **რკ. გზის გასაყვანათ.** ოზურგეთიდან ჩოხატაურამდე რკინის გზის ლიანდაგის გასაგრძელებლათ, თფილისიდან გაიგზავნა კომისი, რომელიც გამოარკვევს გზის მიმართულებას.

— **ობოლ ბავშვთათვის.** დღეს კამერულ თეატრში გაიმართება საღამო ახალ კომკავშირის მიერ ობოლ ბავშვთა თავშესაფარის სასარგებლოთ.

— **პლენუმის მოსაწყობათ** ტფილისის პოლიტგანათლების მმართველობამ სპარტაკის კლუბის მოსაწყობათ გადასდო 3910 მ. ჩ.

— **წ.-ქ. უცოდინ. მოსასპობათ** 1924 წლისთვის წერა კითხვის უცოდინარ. მოსასპობათ პოლიტგანათლებამ გადასდო 7567 მ. ჩ.

— **საჰაერო მიმოსვლა.** ჰაეროპლანებით მიმოსვლის გასაადვილებლათ სომხეთში, კარაკლისში ეწყობა აეროდრომი.

არტილერიის სროლა ცეცხლის ასეულზე.

4*)

შეტევის მეორე ხანში შემდეგი აღსანიშნავი მოქმედებები ხდება,

1) ჯგუფები საბოლოოთ მიიღებენ შეხლის პუნქტებისკენ მიმართულებას;

2. შესამჩნევად შეიცვლება სიღრმე მთელი საბრძოლო წესისა.

3. ასეულის რეზერვი დაუახლოვდება წინა ჯგუფებს.

4. ჩიდება ავტომატების და თოფების სროლა (ორთავ მხრიდან),

5. მიზნები ადვილი შესამჩნევია (საბრძოლო წეს „სქელია“ და ყველა ისვრის).

6. ამოქმედდებიან ტოგერების ნალმტყორცნი და ყუმბარმტყორცნი; მოქმედებენ აგრეთვე ლეგიონის ზარბაზნები.

7. ვაზნებით შევსება რთულდება და ძნელდება. ამ ხანში არტილერია ირჩევს სასროლად მთავარ სამიზნოთ წინ გამოწეულ მიზნებს. ყველა ამ მიზნებზე რაც შეიძლება ერთდროული ცეცხლი უნდა იყოს. იერიშის მანძილთან მოახლოებისას ბატარეია მზად უნდა იყოს გააჩინოს გამოსულ რეზერვზე მთელი ბატარეით, რომელიც ჩქარ-ჩქარა გადატანილ უნდა იყოს როგორც სიღრმეში ისე სიგანეში.

ცალკე წინ გამოწეული ჯგუფების ცეცხლი ცალკე გამოჩენილ ჯგუფზე ძლიერი და შეყურსული იყოს.

თუ გამოჩნდებიან სავაზნე საწყობები, იმათზედაც საჭიროა ცეცხლის გადატანა.

იერიში. ეხლა იერიში არ არის ერთ დროული მთელ კედაროზე—რომელიმე რაიონში გამოჩნდებიან რამდენიმე ჯგუფები, რამდენიმე ხნის შემდეგ ამავე რაიონს გაივლის შემდეგი რიგი ჯგუფებისა და ბოლოს შესაძლებელია რომ ამავე წესით, ან შეიძლება მთელი ეს უბანი (200 300 ნაბიჯის სიღრმისა) ერთბაშად გავლილი იყოს რეზერვის მიერ.

4 ზარბაზნიან ბატარეის კედაროს ფარდული ცეცხლი უმნიშვნელო ზიანს მიაყენებს ამ ხანაში, ამიტომ იერიშის დროს ამ უბანზე გაფენილი უნდა იყოს ფრთის ცეცხლი მეზობელ უბნის ბატარეიებისა. თვით ამ ასეულის (ათასეულის) უბნის ბატარ. კი როგორც წინათ ასეულის რეზერვს და თვალყურს ადევნებს უბანს ათასეულს მაშველის გამოჩენისთვის.

ამ რიგად ყველა ზემოდ და წინა წერილებში. მოყვანილ მოსაზრებების მიხედვით არტილერიის სროლაზე შემდეგი დასკვნა გამოგვაქვს:

1. ცეცხლი უნდა იყოს მოქნილი და ჩქარი; მისი წარმოების სახე დამოკიდებული იქნება ბრძოლის ამა თუ იმ ხანაზე.

2. მსროლელი არ უნდა გამოეკიდოს ბევრ რიცხვ მიზნებს—არჩეულ უნდა იყოს ყველაზე შესანიშნავი და ძლიერი მიზანი, რისთვისაც საჭიროა ახალ ორგანიზაციასთან კარგად გაცნობა და თანამედროვე საბრძოლო წესების შესწავლა.

3. მუდამ უნდა ახსოვდეს მსროლელს რომ ერთ მხრივ, დაახლოვების ხანაში საჭიროა ცალკე ოცეულებისთვის მოცემულ მიმართულების შეშლა, მეორე მხრივ კი რაც შეიძლება ძლიერ დაირღვას ერთი რომელიმე ნაწილისა, რისთვისაც უკეთესია სროლა ძლიერი ცეცხლით ჯერ ერთ მიზანზედ სურვილის შესრულებამდის.

4. **შეტევის ხანაში** კი სხვა პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს: ერთდროულად დაზიანება რაც შეიძლება მეტი რიცხვი მიზნებისა. მიზნების არჩევასაც აქ დიდი მნიშვნელობა აქვს—მიზნები ძლიერი და მოგერებისათვის საშიშო.

5. თვით ბატარეის ორკანიზაცია, კავშირი, სროლის სახეები და თვალდევნა ხელს უნდა უწყობდენ ზემონათქვამ ამოცანების გადაჭრაში ამიტომ საჭიროა თვალმადევნი პუნქტების დიდი რიცხვი, გამოყოფა მწყობრის თავებისა ცალკე მწყობრობით სროლისათვის და საკმაო დიდი საკავშირო ქონება.

დ. ქარ—ძე,

---

*) ის. გაზ. „წით. არმ.“ № 461.

სასოფლო მეურნეობა.

კომბოსტოს მავნებელი წითელი ბაღლინჯო.

ეს პატარა მწერი ოთახის ბაღლინჯოს ჩამოჰგავს, მაგრამ იმაზე ოთხხუთჯერ უფრო მეტია.

ის სწოვს კომბოსტოს და მხალის ფოთლებიდან წვენს. მავნებელი ძლიერ ადვილათ აზიანებს ახალ გადარგულ კომბოსტოს.

წლის განმავლობაში ეს მწერი ერთ ბარტყობას ასწრებს.

გაზაფხულის თბილი ამინდების დაწყებისთანავე მწერი გამოდის ზამთრის საფარიდან და იწყებს ფრენას.

მწერი ჭრელი ტანისაა, აქა-იქ მოშავო წერტილებით.

განაყოფიერებული დედალი პეპელა სდებს 12—15 ცალ კვერცხს კომბოსტოს ფოთლის ქვეითა მხარეზე.

კვერცხები ფოთოლზე ჯგუფ-ჯგუფათ არიან და ამიტომ მათი შეჩნევა ადვილია.

თუ კარგათ დაუკვირდებით კვერცხზე შავ წერტილს შეამჩნევთ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ კვერცხებიდან ჭიები იჩეკებიან.

ჭია მრავალია, აქვს მოწითალოყვითელი ფერი, შავი წერტილებით. ისინი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სწუწნიან კომბოსტოს წვენს და იმით იკვებებიან. ამრიგათ ჭია თანდათან იზრდება და ბოლოს იკეთებს პარკს, საიდანაც რამოდენიმე დღის შემდეგ გამოდის პეპელა.

როგორ უნდა მოვსპოთ წითელი ბაღლინჯო:

ახალ გამოჩეკილ ჭიების მოწამვლა ადვილია თამბაქოს წვენით და კვასიის ემულსიით (იყიდება).

ჭიებს არ უნდა დავაცალოთ გაზრდა, თორემ შემდეგ მათი მოწამვლა ძლიერ ძნელია.

წითელი ბაღლინჯოს მოსაწამლავათ თამბაქოს წვენი ასე უნდა მოვამზადოთ:

ავიღებთ ერთ-გირვანქა უბრალო იაფ-ფასიან თამბაქოს და ჩავდებთ ვედრო წყალში სამი-ხუთი დღით.

შემდეგ ორი-სამი საათის განმავლობაში ადუღებთ, გასწურავთ და მიუმატებთ კიდევ ერთ ვედრო წყალს.

ამის შედეგ წამალი უკვე მზათ არის კომბოსტოს მისასხურებლათ.

კვასიას ნარევის (ემულსიის) მომზადება.

ოთხ გირვანქა წვრილ კვასიას (იყიდება) ადუღებენ წყალში. დუღილის დროს თანდათანობით უნდა ემატოს წყალი რომ არ ამოშრეს.

შემდეგ ერთი დღე-ღამის განმავლობაში ცივათ ამყოფებენ. გასწურავენ საცერში და ხსნიან 10 ვედრო წყალში. ამავე დროს უმატებენ ცხელ წყალში გახსნილ სამ-გირვანქა სარეცხ საპონს და წამალი მზათ არის სასხურებლათ.

პატარა ჭიების ტანი ნასია, წამალი სწვავს მათ და ჰკლავს, კომბოსტოს კი არავითარ ზიანს არ აყენებს.

მეურნე.

მეცნიერება და ტეხნიკა

ფხვიერ ნახშირის როლი ორთქლმავალებში.

ფხვიერი ნახშირის უპირატესობაზე ძალიან ბევრი იწერება. საზღვარ გარედ ის უკვე ხმარებაშია შამოსული სხვა და სხვა ძლიერი ძალით მომუშავე მანქანებში, როგორც საუკეთესო საწვავი მასალა. ამ შემთხვევაში ფხვიერი ნახშირი დიდი უპირატესობით სარგებლობს ორთქლმავალებში. საქმე იმაშია, რომ ის იძლევა დიდ ეკონომიას, როგორც საწვავი მასალა, შემდეგ შრომის ეკონომიას და სხვა უპირატესობათ. ეს უპირატესობანი ფხვიერი ნახშირის გამომდინარეობს თვით მისი თვისებებიდან. საზოგადოთ ყოველგვარი ფხნილი, რომელშიდაც კი შედის ორი მესამედი საწვავ მასალისა ყოველ მხრივად გამოსადეგია ორთქლის მოსაცემათ ამიტომ სხვა ნახშირის მდაბალი ხარისხი და თვით წანახშიც ფხვიერი სახით საუკეთესო ხარისხის ქვა ნახშირს უდრის. შემდეგ ძვირიც არ ჯდება ფხვიერი ნახშირის დამზადება. ჯერ კიდევ ომამდე იყო გამოანგარიშებული რომ ერთი ტონის (61 ფუთია) დამზადება ჯდებოდა 50 კაპ. აქედან ფხვიერი ნახშირის უპირატესობა ხარჯის ეკონომიისათვის თვის თავად ჩანს. პირველი დიდი ორთქლმავალი ფხვიერი ნახშირის სახმარებლად დამზადებული იქნა 1914 წ. ამის შემდეგ ორთქლმავლების მთელი რიგი გადავიდა ნაწილობრივად მის ხმარებაზე, რამდენადაც ამის ნებას იძლეოდა ძველი კონსტრუქციის ორთქლმავლები.

ფხვიერი ნახშირი მოთავსებულია ორთქლმავალის ტენდერის პირველ ნაწილში. ცეცხლის გასაჩაღებლად მემანქანის თანაშემწე პირველად ჩააგდებს საცეცხლეში 24 ბამბის ნაჭერს, რომელშიც გაჟღენთილი არის ნავთით. შემდეგ მოძრაობაში მოჰყავს მოტორი, რომელიც აამოქმედებს ე. წ. არქიმედის ხრახნს. შემდეგ მოძრაობაში მოდის იქვე მოთავსებული ქარულა. ქარულას შამოდენილ ჰაერს რეზერვუარში ურთდება ფხვიერი ნახშირი და სხვა და სხვა მილების შემწეობით ის გადადის საცეცხლეში, სადაც ენთება. საცეცხლეს აქვს აგურებით დაგებული იატაკი. რამდენათ შემსუბუქებულია აქ მემანქანის თანაშემწის მუშაობა ცხადათ ჩანს იქედან, რომ ჩვეულებრივი ქვა ნახშირის ხმარების დროს, მას სჭირდება ტენდერიდან საცეცხლეში გადაიტანოს 2.600 კილოგრამი ნახშირი ნიჩბით. აქ კი ყველაფერი ხდება რეგულიატორის შემწეობით და ადგილიდან დაუძვრელად. თუ ფხვიერი ნახშირის შერევა ჰაერთან სწორედ არის დაცული, ორთქლმავალში გაჩენილი ალის ტემპერატურა აღწევს 1500 გრად. ცელსიით. როდესაც ორთქლმავალი სდგას, ცეცხლს აქრობენ. მაგრამ მოძრაობაში მოყვანის დროს ცეცხლის ხელმეორედ გაჩენა საჭირო აღარ არის. საცეცხლის აგურებიანი იატაკი ინარჩუნებს სამხურვალეს და ამის გამო იქ შესულ ფხვიერ ნახშირს თავის თავად უჩნდება ცეცხლი.

მიხ.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. წყნორელს—თქვენი წერილი გადაეცა დივიზიის შტაბს.

ამხ. მ. ანდღულაძეს.—წერილი „მიბაძეთ სამაგალითო მუშაკს“ არ წავა.

ამხ. დამსწრეს.—თქვენი წერილი არ გავა.

სამხკორებს ლოგუას და ლღავას გთხოვთ შემოიაროთ რედაქციაში ორშაბათს, 31 მარტს.

ჩერვონეცის კურსი 30—31 მარტს

1 ჩერვონეცი 28,000,000,000.

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1 კ.= 28,000,000
2 კ.= 56,000,000
3 კ.= 84,000,000
4 კ.=112,000,000
5 კ.=140,000,000
6 კ.=168,000,000
7 კ.=196,000,000
8 კ.=224,000,000
9 კ.=252,000,000
10 კ.=280,000,000
11 კ.=308,000,000
12 კ.=336,000,000
13 კ.=364,000,000
14 კ.—392,000,000
15 კ.=420,000,000
16 კ.=448,000,000
17 კ.=476,000,000
18 კ.=504.000.000
19 კ.=532,000,000
20 კ.=560,000,000
21 კ.=588,000,000
22 კ.=616,000,000
23 კ.=644,000,000
24 კ.=672,000,000
25 კ.=700,000,000
26 კ.=728,000,000
27 კ.=756,000,000
28 კ.=784,000,000
29 კ.=812,000,000
30 კ.=840,000,000
31 კ.=868,000,000
32 კ.=896,000,000
33 კ.=924,000,000
34 კ.=952,000,000
35 კ.=980,000,000
36 კ.=1,008,000,000
37 კ.=1,036,000,000
38 კ.=1,064,000,000
39 კ.=1,092,000,000
40 კ.=1,120,000.000
41 კ.=1,148,000,000
42 კ.=1,176,000,000
43 კ.=1,204,000,000
44 კ.=1,232,000,000
45 კ.=1,260,000,000
46 კ.=1,288,000,006
47 კ.=1,316,000,000
48 კ.=1,344,000,000
49 კ.=1.372,000,000
50 კ.=1,400,000,000
51 კ.=1,428,000,000
52 კ.=1,456,000,000
53 კ.=1,484.000,000
54 კ.=1,512,000,000
55 კ.=1,540.000,000
56 კ.=1,568,000,000
57 კ.=1,596,000,000
58 კ.=1,624,000,000
59 კ.=1,652,000,000
60 კ.=1,680,000,000
61 კ.=1,718,000,000
62 კ.=1,746,000,000
63 კ.=1,774,000,000
64 კ.=1,802,000,000
65 კ.=1,830,000,000
66 კ.=1,858,000,000
67 კ.=1,886,000,000
68 კ.=1,914,000,000
69 კ.=1,942,000,000
70 კ.=1,970,000,000
71 კ.=1,998,000,000
72 კ.=2,026,000,000
73 კ.=2,054,000,000
74 კ.=2,082,000,000
75 კ.=2,110,000,000
76 კ.=2,138,000,000
77 კ.=2,166,000.000
78 კ.=2,194,000,000
79 კ.=2,222,000,000
80 კ.=2,250,000,000
81 კ.=2,278,000,000
82 კ.=2,306,000,000
83 კ.=2,334,000,000
84 კ.=2,362,000,000
85 კ.=2.390,000,000
86 კ.=2,418,000,000
87 კ.=2,446,000,000
88 კ.=2,474,000,000
89 კ.=2,502,000,000
90 კ.=2,530,000,000
91 კ.=2,558,000,000
92 კ.=2,586,000,000
93 კ.=2,614,000,000
94 კ.=2,642,000,000
95 კ.=2,660,000,000
96 კ.=2,688,000,000
97 კ.=2,716,000,000
98 კ.=2,744,000,000
99 კ.=2,772,000.000
1მ.=2,800,000,000
2მ.=5,600,000,000
3მ.=8,400,000,000
4მ.=11,200,000,000
5მ.=14,000,000,000
6მ.=16,800,000,000
7მ.=19,600,000,000
8მ.=22,400,000,000
9მ.=25,200,000,000
10მ.=28.000.000.000

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1,300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. ჩინჩალაძე.